ხელშეკრულებაNN№118
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **17 ოქტომბერი 2016 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო, შემდგომში -„შემსყიდველი“, (შემდგომში - „შემსყიდველი”) მისი დირექტორის ანა კვარაცხელიას სახით და მეორე მხრივ შპს „სი-ტი პარკ”-ი (შემდგომში - „მიმწოდებელი”) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს (ო/კოდი 24010301) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ მეწარმეობის განვითარების სარგებლობაში არსებული 2 (ორი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის (Ford fiesta AC-810-CA და Ford fiesta AC-811-CA) ერთწლიანი პარკირების მომსახურების და პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების შესყიდვა. (CPV98351000)

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის” ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელზეც შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფის მენეჯერს გიგა ხარჩილავას.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით `მიმწოდებლის” მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.
4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის”. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის” 398-ე მუხლის თანახმად.
5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს `შემსყიდველის” მხრიდან განახორციელებს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ოფის მენეჯერი გიგა ხარჩილავა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი - შემსყიდველს”, ერთი - „მიმწოდებელს”).

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც

განისაზღვრება ჯარიმით, ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო

მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #5/16-18,
ტელეფონი: 299 10 30,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
ს/კ – 204582763

დირექტორი
ანა კვარაცხელია

მიმწოდებელი

შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 2555123
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45

გენერალურ მენეჯერი
ბინიამინ ლაჰავ